

**განმარტებითი ბარათი
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების
შეტანის შესახებ**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანი მდგომარეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის არჩევისა და ადვოკატთა ტესტირების ორგანიზების აუცილებლობაში. კერძოდ, არსებული რედაქციით, კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 42-ე მუხლი არ იძლევა ასოციაციის ორგანოების წევრთა არჩევის შესაძლებლობას, რადგან კანდიდატებმა უნდა მიიღონ დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობა, რაც კანდიდატთა სიმრავლის შედეგად ხმების გაყოფის გამო შეუძლებელი ხდება. ამასთან, ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი კრების უფლებამოსილებისათვის აუცილებელი ეკორუმი წარმოდგენილი კანონპროექტით უთანაბრდება წევრთა საერთო რაოდენობის ერთ მესამედს, ნაცვლად არსებული რედაქციით განსაზღვრული კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტისა, რაც გააადვილებს კრების უფლებამოსილებისათვის აუცილებელი ეკორუმის შეკრებას. წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულ რეგლამენტაციას უკავშირდება ადვოკატთა ასოციაციის მიერ კანონით „ადვოკატთა შესახებ“ მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელება. ვინაიდან კანონი აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციას მიაკუთვნებს ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესის, პროგრამისა და საკვალიფიკაციო კომისიის დებულების დამტკიცებას, ხოლო ეთიკის კომისიას – ადვოკატთა დისციპლინური წარმოების უფლებამოსილებას. იმისათვის, რომ ტესტირების პროგრამისა და თარიღის დასამტკიცებლად საჭირო არ გახდეს ასოციაციის საერთო კრების მოწვევა, რაც დაკავშირებულია ობიექტურ სირთულეებთან, კანონპროექტის I, II და III პოზიციებით, აღნიშნული უფლებამოსილებები დაექვემდებარა აღმასრულებელ საბჭოს, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის დებულების დამტკიცება დარჩა საერთო კრების კომპეტენციაში. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, წარმოადგენს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობას, რის გარეშეც შეიღახება ადვოკატთა პროფესიის თვითრეგულირებისა და უწყვეტური მართლმსაჯულების განხორციელების ფუძემდებლური პრინციპები.

კანონპროექტის ავტორია ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“.
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიული
კომიტეტი